

ხელშეკრულებების პირობითი დაყოფა ტიპებად

მანანა მესხიშვილი*

1. შესავალი

სახელშეკრულებო სამართალი სამოქალაქო სამართალურთიერთობებისა და ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა. ხელშეკრულებები გვხვდება სამართლის სხვადასხვა დარგში და, მართალია, მისი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა – მხარეთა თანხვედრი ნების გამოვლენა – მუდამ უცვლელია, ცალკეული დარგისთვის დამახასიათებელი თავისებურებები იძლევა მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის საფუძველს. საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში ხელშეკრულებების როლი არცთუ მნიშვნელოვანია, რასაც ვერ ვიტყვით სანივთო, სამეწარეო და ვალდებულებით სამართალზე. თუმცა განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება: “არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ყველაზე ხშირია, არამედ იმიტომ, რომ ხელშეკრულების ბუნებას ყველაზე თვალსაჩინოდ და ნათლად წარმოაჩენს”.¹

როგორც ცნობილია, ვალდებულებით სამართალში არ მოქმედებს *numerus clausus*-ის პრინციპი, რაც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს საშუალებას აძლევს საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ საკუთარი უფლება-მოვალეობები და ერთგვარი სტიმულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებისა და ახალი ურთიერთობების ფორმირებისთვის. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი – ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომელიც რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და ახალი სამართალურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველია. სახელშეკრულებო სამართალზე მსჯელობისას აუცილებელია იმპერატიული ნორმებისა და მათი დაცვითი ფუნქციის

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი.

¹ Savigny, System des heutigen Römischen Rechts, Bd. 3., Berlin, 1840, 314-315.

გათვალისწინება, რაც გარკვეულწილად ზღუდავს მხარეთა თავისუფალი ქმედების ასპარეზს.

ხელშეკრულების ტიპების ნაწილი სამოქალაქო ურთიერთობების წარმოშობის დროიდან არის ცნობილი, ნაწილი კი საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება და ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. ახალი სამართალურთიერთობების ნაწილი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობათა ჩარჩოში მოექცა, ნაწილი კი კვლავაც სპეციალური მოწესრიგების გარეშე განაგრძობს არსებობას.

ნაშრომში განხილულია ხელშეკრულების ტიპებად ჩამოყალიბების მიზანი, ტიპებად ფორმირების განმაპირობებელი ფაქტორები, სამართლებრივი ურთიერთობების ახალ ტიპებად ფორმირების პროცესი და მათი არა ზოგადი, არამედ უშუალოდ ამ ურთიერთობისთვის დადგენილი, სპეციალური ნორმებით მოწესრიგების მიზანშეწონილობა.

ცხადია, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებელი კარგად აცნობიერებს სახელშეკრულებო სამართლის როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნებასა და ზრდაში. შესაბამისად, სათანადო ყურადღებასაც აქცევს მას. უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ევროკავშირი კერძო სამართლის სფეროში საკანონმდებლო საქმიანობით, რაც სხვადასხვა დირექტივის მიღებით გამოიხატა. საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებასთან ერთად, გამოიკვეთა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული განსხვავებები როგორც ამ ურთიერთობების განვითარებისთვის გარკვეული შემაფერხებელი ფაქტორი. წლების განმავლობაში არა მხოლოდ საუბრობენ უნიფიცირებულ კერძო სამართალზე, არამედ პრაქტიკულადაც შეიქმნა მოდელური წესები (მაგ.: PECL², UNIDROIT³-ის პრინციპები, DCFR⁴). აღნიშნული მოდელური წესები მრავალი ქვეყნის სამართლის შეჯერებითაა შემუშავებული სამართლის სფეროს ავტორიტეტული მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების მიერ

² Principles of European Contract Law, <http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002>.

³ International Institute for the Unification of Private Law, <http://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010>.

⁴ Draft Common Frame of Reference, http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf.

და წარმოადგენს მათი მოსაზრებით ოპტიმალურ ვარიანტს. შესაბამისად, ნაშრომში ხელშეკრულების ტიპების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხი ამ პერსპექტივიდანაცაა გაანალიზებული.

1. ხელშეკრულების ტიპების ფორმირება

ყოველი ხელშეკრულება ემსახურება კონკრეტულ მიზნებს. ხელშეკრულების შინაარსს განსაზღვრავს ის მიზანი და ეკონომიკური ინტერესი, რაც მხარეებს ამოძრავებს. მიზანი და ინტერესი შესაძლოა თითოეულ შემთხვევაში განსხვავებული იყოს, რაც განაპირობებს განსხვავებას მათ მოწესრიგებაში. სამოქალაქო ურთიერთობების წარმოშობიდან დაიწყო მათი მოდიფიცირება, დახვეწა, ახალი სინამდვილისა და ეკონომიკური გამოწვევებისადმი მისადაგება. მიუხედავად მუდმივად პროგრესირებადი ეკონომიკური ურთიერთობებისა, რიგ შემთხვევებში, სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა მიზანი და ინტერესი სტაბილურია და არ იცვლება საუკუნეების განმავლობაში. ასევე, არ იცვლება ამ სამართლებრივი ურთიერთობის თანმდევი კონფლიქტებიც. მუდმივი განმეორების შედეგად, შესაძლებელია კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ამოცნობა, რაც ერთგვარ “ნიმუშად“ ყალიბდება. ამგვარი ტიპური კონფლიქტები სამართლებრივ სისტემაში სპეციფიკური წესების შექმნით წესრიგდება. ამავდროულად განისაზღვრება ის, თუ რომელ სფეროში მოქმედებს შესაბამისი წესები, რისთვისაც სამართლებრივი ურთიერთობები იყოფა ტიპებად.

სამართლებრივი ურთიერთობების ტიპებად გამოიჯენა ამ ურთიერთობების ჩარჩოში მოქცევას განაპირობებს. ზღუდავს თუ არა კანონმდებელი ამგვარად მხარეთა უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ თავიანთი უფლება-მოვალეობები, განხილულ უნდა იქნეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან მიმართებით.

1.1 ხელშეკრულების თავისუფლება

პრინციპი არის ის ძირითადი საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს შესაბამისი დარგი და რა კონტექსტში უნდა გავიგოთ და განვმარტოთ ესა თუ ის ნორმა.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ქართულ სამართალში საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებული. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი და მეორე წინადადებების თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

ამით კანონმდებელი ხაზს უსვამს, რომ აღიარებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს ვალდებულებითი სამართლის ფუძემდებლურ პრინციპად. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, ზოგადად, მთელ სამოქალაქო სამართალს გასდევს, მაგრამ ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ვალდებულებით სამართალში ასრულებს, რაზეც მეტყველებს კანონის სისტემური აგებულება. მითითებული ნორმა სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის (ვალდებულებითი სამართალი) პირველი კარის (სახელშეკრულებო სამართალი) პირველი თავის (ზოგადი დებულებები) პირველი მუხლია. განსხვავებით პირველ წიგნში მოცემული ნორმებისა, რომლებიც როგორც სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, მის ყველა წიგნში ასახულ სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება, სხვა წიგნებში არსებული ნორმები უშუალოდ ამ წიგნში მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობებისათვის არის გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ექსკლუზიური ნიშან-თვისებაა. ზოგადად, პრინციპების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის შეიძლება განვითარდეს და ჩამოყალიბდეს სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში. შესაბამისად, მათი აღიარებისათვის კანონში ასახვა აუცილებელი არ არის. ამდენად, ერთი მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის სამოქალაქო სამართლის მე-3 წიგნში ასახვა არ

აბრკოლებს მის მის გამოყენებას სხვა წიგნებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში, მეორე მხრივ კი, ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და როლს სწორედ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებებისთვის.

სსკ-ის 319-ე მუხლის შინაარსის ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელშეკრულების თავისუფლება რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, კერძოდ, ის მოიცავს პირის უფლებას გადაწყვიტოს დადოს თუ არა ხელშეკრულება, ვისთან და რა შინაარსის. თუმცა, ეს კომპონენტები შეეხება მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყების სტადიას. მაგრამ ხელშეკრულების თავისუფლების დანიშნულება მხოლოდ ამ ეტაპით არ ამოიწურება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს აქვთ უფლება ნებისმიერ დროს შეცვალონ ხელშეკრულების პირობები ან დაასრულონ ურთიერთობა. ეს კომპონენტები აღიარებულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მრავალი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში, რიგ შემთხვევაში უშუალოდ საკანონმდებლო აქტებში, რიგ შემთხვევაში კი – სამეცნიერო ლიტერატურაში, რაზეც მოგვიანებით იქნება მსჯელობა.

სახელშეკრულებო სამართლის ძირითადმა პრინციპებმა ასახვა პოვა უნიფიცირებულ ევროპულ სამართლში. ამის მაგალითია საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები (UNIDROIT⁵-ის Principles for International Commercial Contracts) და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (Principles of European Contract Law PECL).⁶

UNIDROIT-ის პრინციპების პირველივე ნორმა (მუხლი 1.1) „ხელშეკრულების თავისუფლება“, რომელიც ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთან ერთად ადგენს მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას, ხოლო მისი კომენტარი კი განმარტავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლება საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი პრინციპია. ბიზნესსაქმიანობაში ჩართული პირების უფლება, გადაწყვიტონ თუ ვის შესთავაზონ ან ვისგან მიიღონ საქონელი ან მომსახურება, ასევე თავისუფლად შეათანხმონ ინდივიდუალური ტრანზაქციის პირობები – არის ღია, ბაზარზე ორიენტირებული და კონკურენტული საერთაშორისო

⁵ Institut International pour l'Unification du Droit.

⁶ Arthur Hartkamp, Principles of Contract Law, in: Towards a European Civil Code, 1998, 106.

ეკონომიკური წესრიგის ქვაკუთხედი.⁷ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ასევე აღიარებულია PECL-ის მიერ და მოიცავს ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას.⁸ კიდევ უფრო დეტალურად არის განხილული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი DCFR-ში, სადაც მიმოხილულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ყველა კომპონენტი და მათი მნიშვნელობა⁹. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლში ჩამოყალიბებული ხელშეკრულების თავისუფლების ყველა ზემოთ მითითებული კომპონენტი DCFR-შიც გაზიარებულია. ხელშეკრულების თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთს იმ ოთხი პრინციპიდან, რომლებაც DCFR-ი ემყარება. ესენია: თავისუფლება, უსაფრთხოება, სამართლიანობა და ეფექტიანობა. აქვე მითითებულია, რომ ზოგჯერ ეს პრინციპები ერთმანეთს ეწინააღმდეგება ან ფარავს.

ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ერთ-ერთი კომპონენტი – შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება.

1.2 ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლით, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა მხარეთათვის მინიჭებული უფლებაა. თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს მხოლოდ ქართველი კანონმდებლის მონაპოვარი არ არის. ხელშეკრულების დადებისა და ხელშეკრულებაში სასურველი პირობების გაითვალისწინების თავისუფლება აღიარებულია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ.¹⁰

⁷ UNIDROIT Principles, Article 1.1., <http://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/414-chapter-1-general-provisions/863-article-1-1-freedom-of-contract>.

⁸ Principles of European Contract Law, Art. 1:102.

⁹ Draft Common Frame of Reference, 48-54.

¹⁰ DCFR, II.-1:102, შენიშვნები: იგი მოცემულია გერმანიის კონსტიტუციის მე-2(1) მუხლში; საბერძნეთის კონსტიტუციის მე-5(1) მუხლში და საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლში. თუმცა საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, “დაუშვებელია იმპერატიული ნორმების უგულებელყოფა მხარეთა თვითნებობით”. იგი ასევე გათვალისწინებულია 1683 წლის ძველ დანიურ კოდექსში (*Danske*

Loi), პარაგრაფ 5.1.1-ში. საფრანგეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის სამართალში (სადაც მხარეთა თავისუფლების პრინციპი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 1344(1) მუხლით გათვალისწინებული ნამდვილი ხელშეკრულებების მხოლოდ ეფექტიდან იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1322-ე მუხლში; ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 6:247 მუხლში; პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლში; სლოვენის LOA პარაგრაფები 2 და 3; პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის 353¹ მუხლი; სლოვაკეთის სამოქალაქო კოდექსის პარაგრაფი 2(3) და Ccom § 263; ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1255-ე მუხლი. საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს *Projet de Reforme du Droit des Contrats* (მე-15 და მე-16 მუხლები). ავსტრიის სამართლის მიხედვით, ხელშეკრულების თავისუფლება არსებობს როგორც კონსტიტუციური პრინციპი და დასაყრდენი აქვს სამოქალაქო კოდექსის 859-ე მუხლის სახით. ხელშეკრულების თავისუფლება გარკვევით არის გაცხადებული ბულგარეთის LOA-ში (მე-9 მუხლი). ერთადერთი შეზღუდვა არის კანონის იმპერატიული ნორმები და *bonos mores*-ი. წევრ სახელმწიფოებში, სადაც საკანონმდებლო დონეზე არ არის მოწესრიგებული, ხელშეკრულების თავისუფლება ძირითადი პრინციპია: მაგ.: ინგლისისთვის იხ. *Chitty on Contracts* I27, nos. 1-011-1-012. ესტონეთში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ძირითადად აღიარებულია და დაცულია უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის მე-19, 31-ე და 32-ე მუხლებით. ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოცემულია პარაგრაფში 2(3), რომლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ თავიანთი უფლებები და მოვალეობები განსაზღვრონ შეთანხმებით, რომელიც განსხვავებულია კანონისგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კანონი გარკვევით არ კრძალავს ამას ან თუ ნორმის ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია მისგან გადახვევა. ეს პრინციპი ასევე ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლს, რომლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსში სპეციალურად არ არის მოწესრიგებული, და 491-ე მუხლს, რომელიც იძლევა შერეული ხელშეკრულებების დადების უფლებას და შექმნილია სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებული ხელშეკრულების რამდენიმე ტიპისგან. თუმცა ეს თავისუფლება არ ვრცელდება ყველა სამართლებრივ აქტზე. ჩეხურ სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომ ცალმხრივ სამართლებრივ აქტებს სამართლებრივი შედეგი აქვს მხოლოდ, თუ ეს დადგენილია კანონით (ნუმერუს კლაუზუსი), *Švestka/Jehlička/Škárková*, OZ9, 35. ანალოგიური ვითარებაა ბულგარეთის სამართალშიც (LOA art. 44). უნგრეთის სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მნიშვნელოვანია, მაგრამ იზღუდება (CC § 200(1)).

ხელშეკრულების თავისუფლება არის კერძო ავტონომიის გამოხატულების უმთავრესი ფორმა.¹¹ იგი დაცულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ კონსტიტუციითაც, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით. აღნიშნული ნორმის თანახმად, ყველას აქვს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსი ძალიან ფართოა. “იგი მოიცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, როგორცაა: ცოდნის შექმნის, დაქორწინების, შვილების გაჩენის, ოჯახური ცხოვრების საკუთარი შეხედულებით წარმართვის, ღმერთის რწმენის, პიროვნული თვითგამორკვევის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის, საზოგადოებრივი საქმიანობის, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის, ხელშეკრულებებისა თუ კონტრაქტების დადებისა და სხვა სფეროებს, რომლებიც თავისუფალი ადამიანის განვითარებისა და მისი ბედნიერებისთვისაა აუცილებელი”.¹²

სახელშეკრულებო სამართლის მოწესრიგებაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა უდავოდ ენიჭება ფორმალური თავისუფლებისა და ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობის იდეას. თავის სამართლებრივ გამოხატულებას ეს იდეა პოვებს ხელშეკრულების თავისუფლებისა და ხელშეკრულებისადმი ერთგულების პრინციპებში, რომლის თანახმადაც, ინდივიდი უფლებამოსილია თავისუფალი, საკუთარი პასუხისმგებლობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფაქტობრივად ნებისმიერი შინაარსის ხელშეკრულება დადოს.¹³

გერმანულ სამართალში ის, ისევე, როგორც ზოგადად კერძო ავტონომია, კონსტიტუციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით არის დაცული. კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვა მოიცავს ინდივიდუალურ გარანტიასა და ინსტიტუციურ გარანტიას. ხელშეკრულების თავისუფლების გარანტია ასევე მოცემულია სხვა ძირითად უფლებებშიც, როგორც, მაგალითად, მე-12 მუხლი

¹¹ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 73. Aufl., München, 2014, 163, Rn. 7.

¹² ევა გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, თბილისი, 2013, 90.

¹³ Zweigert/Koetz, Einführung in die Rechtsvergleichung, III Aufl., Tübingen, 1996, 147-148.

პროფესიის თავისუფლების ან მე-14 მუხლი საკუთრების განკარგვის უფლების თვალსაზრისით.¹⁴

ხელშეკრულების თავისუფლება შეუცვლელია საბაზრო ეკონომიკისთვის, რომელშიც საქონელი და მომსახურება წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით კი არ ნაწილდება, არამედ მას მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს. ამისთვის ბაზრის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ფასსა და შესასრულებელ ვალდებულებებზე და მათთან დაკავშირებულ ხელშეკრულებების პირობებზე თავისუფლად შეთანხმება. სამართლებრივი თვალსაზრისით მხარეებისთვის ხელშეკრულების თავისუფლების მინიჭების საფუძველია ის, რომ მონაწილეებმა, როგორც წესი, ყველაზე უკეთ იციან საკუთარი საჭიროებებისა და კონკრეტული გარემოებების შესახებ და სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა დროს ყველაზე უკეთ შეუძლიათ გაითვალისწინონ თავიანთი ინტერესები, როდესაც ძალთა თანასწორობა არსებითად დარღვეული არ არის.¹⁵

ხელშეკრულების თავისუფლებას მიეკუთვნება მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებაც. ის მხარეებს საშუალებას აძლევს საკუთარი პასუხისმგებლობით განსაზღვრონ თავიანთი სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა. ამასთანავე, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებიდან გამომდინარეობს, რომ, როგორც წესი, თანაბარი მოპყრობის პრინციპი მხარეებს არ ბოჭავს. ხელშეკრულების დადების თავისუფლება და შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება შეიძლება გადაიკვეთოს კიდეც. ხელშეკრულების დადების თავისუფლება ნებისმიერ მხარეს ანიჭებს უფლებას ერთი შეხედვით უმნიშვნელო პუნქტი ხელშეკრულების დადების შესახებ თავისი გადაწყვეტილების ობიექტად აქციოს, ანუ ხელშეკრულების დადება დამოკიდებული გახდეს იმაზე, მიღწეული იქნება თუ არა შეთანხმება ამ პირობაზე. ხოლო ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება შეეხება საკითხს – ხელშეკრულების შინაარსის ჩამოყალიბება კანონით არის დადგენილი თუ მხარეთა ნებაზეა მინდობილი. შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას სხვადასხვა სამართლებრივ სფეროში და მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინებით, განსხვავებული სივრცე აქვს მინიჭებული.¹⁶

¹⁴ Karl Larenz, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 630.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე, 631-636.

1.3 ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა

ხელშეკრულების თავისუფლება, მართალია, ვალდებულებითი სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, მაგრამ იგი აბსოლუტური უფლება არ არის. შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებაც საზღვრებშია მოქცეული. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალში ხელშეკრულება მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიდოს, თუ ეს კანონით არის ნებადართული. სანივთო სამართალში ხელშეკრულებებით მხოლოდ ის უფლებები შეიძლება წარმოიშვას, რასაც კანონი ითვალისწინებს. ვალდებულებით სამართალში, სადაც რეალურად მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლება, შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება შეზღუდულია იმპერატიული ნორმებით დადგენილი წესებით. ამას თან ერთვის დაცვითი ნორმები ეკონომიკურად და ინტელექტუალურად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომის სასარგებლოდ.¹⁷

ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ერთ-ერთი ასეთი სიკეთე შეიძლება იყოს სამართლიანობის პრინციპი. როგორც წესი, შეუთავსებლობა სახელშეკრულებო თავისუფლებასა და სამართლიანობას შორის არ არსებობს. თუ, მაგალითად, ხელშეკრულების დადებისას მხარეები სრულად ინფორმირებული არიან და თანაბარი საბაზრო და ეკონომიკური ძალაუფლება აქვთ, შესაძლებელია ვარაუდი, რომ შეთანხმების შინაარსი მათი ინტერესების შესაბამისია. ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ ხელშეკრულების თავისუფლებას მივყავართ სამართლიანობამდე.¹⁸ მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ რიგ შემთხვევებში მხარეები განსხვავებული ცოდნის, გამოცდილების, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის მქონე სუბიექტები არიან, მათი, ერთი შეხედვით, თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულება შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს სამართლიანობის პრინციპთან. მით უფრო მნიშვნელოვანია ეს, რადგან, ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ, სამომხმარებლო ხელშეკრულებები მომხმარებლებისთვის ხელშეკრულების

¹⁷ Palandt, BürgerlichesGesetzbuch, 73. Aufl., München, 2014, 164, Rn. 13.

¹⁸ DCFR-ი, 48.

დადების ეტაპზე, როგორც კონტრაქტის არჩევის, ისე ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის მხრივ, სულ უფრო მეტ ფარულ საფრთხეებს შეიძლება შეიცავდეს. მომხმარებლების დაუცველობა კიდევ უფრო აშკარაა, თუ განვიხილავთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ამის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა დამცავ ნორმებს და მათი მოქმედების არეალი ფართოვდება საკანონმდებლო დონეზე თუ სასამართლო პრაქტიკით. შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოქმედებს იმპერატიული ნორმებით დადგენილ საზღვრებში. მომხმარებლების უფლებების დაცვა არსებითად სწორედ სამართლიანობის პრინციპითაა ნაკარნახევი. სამართლიანობის პრინციპი კი საკმაოდ ფართო ცნებაა და ინტერპრეტირების მრავალ საშუალებას იძლევა.

როგორც ცნობილია, იმპერატიულ ნორმებს ვალდებულებით სამართალში საკმაოდ მცირე წილი აქვს და ისინი ძირითადად მიმართულია იქითკენ, რომ სრულად არ დაირღვეს სამართლებრივი ბალანსი მხარეთა უფლება-მოვალეობებს შორის (მაგ.: კონტრაქტის არჩევის თავისუფლების შეზღუდვა – იძულებითი კონტრაქტირება). თანამედროვე სამართლის პოლიტიკაზე მსჯელობისას აშკარად იკვეთება, რომ ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვის აუცილებელმა საჭიროებამ მიგვიყვანა ხელშეკრულების თავისუფლების კანონისმიერ შეზღუდვებამდე. ამასთან, ბოლო პერიოდში მეცნიერთა მხრიდან გამოითქვა კრიტიკული მოსაზრებები იმპერატიული ნორმების შემოღებით ხელშეკრულების თავისუფლების სულ უფრო მეტად შეზღუდვის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ასეთია 55-ე მუხლი, რომელიც ბათილად აცხადებს ხელშეკრულებას, თუ ის დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე; ასევე 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს. მნიშვნელოვანია ასევე სასამართლოსთვის მინიჭებული უფლება, კორექტირება შეიტანოს მხარეთა შეთანხმებაში, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს

ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ და თუ მხარე ამ პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად ან მათი განსაზღვრა ჭიანჭურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. ასევე პირდაპირ არის გათვალისწინებული სასამართლოს უფლება, შეამციროს პირგასამტეხლოს ოდენობა, თუ მიიჩნევს, რომ ის შეუსაბამოდ მაღალია (სსკ-ის 420-ე მუხლი). განსაკუთრებით თვალშისაცემია სასამართლო კონტროლი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 344-348-ე მუხლები).

ამასთან, კანონი შეიძლება შეიზღუდოს დამხმარე ფუნქციით, როდესაც როგორც დისპოზიციურ სამართალს, წესებს სთავაზობს მხარეებს იმ შემთხვევისთვის, როდესაც ის თავად არ შეათანხმეს.

თუმცა ხელშეკრულების თავისუფლების უპირატესობა კანონისმიერ დებულებებთან უკავშირდება მხარეთა ინტერესებისადმი უკეთეს მისადაგებას მაშინ, როდესაც საქმე მხოლოდ მხარეთა ინტერესებს ეხება, რაც უპირველეს ყოვლისა, ვალდებულებითი სამართლის სფეროს შეესაბამება. სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებშიც, ხელშეკრულების მხარეთას გარდა, მესამე პირებისა და საზოგადოების ინტერესებიც მონაწილეობს, მხარეები მას ასე თავისუფლად ვერ განკარგავენ. ამიტომ ხელშეკრულების თავისუფლებისთვის გახსნილი თავისუფალი სივრცე სხვადასხვა სფეროში განსხვავებულად არის ფორმირებული და განსხვავებული შინაარსი აქვს.¹⁹

1.4 დისპოზიციური ნორმების მნიშვნელობა ხელშეკრულების ტიპოლოგიისთვის

ვალდებულებით სამართალში, როგორც ცნობილია, კანონმდებელი ძირითადად რეკომენდაციებით შემოიფარგლება და მხარეებს მხოლოდ სთავაზობს ურთიერთობის მოწესრიგების წესებს, რაც ნიშნავს, რომ ნორმათა უმრავლესობა დისპოზიციურია.

როდესაც საუბარია ვალდებულებითი სამართლის დისპოზიციურობასა და მის სარეკომენდაციო ხასიათზე და იმაზე, რომ სახელშეკრულებო სამართალი ხელშეკრულების ტიპების მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალს იძლევა, ბუნებრივად ჩნდება

¹⁹ Karl Larenz, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 630.

კითხვა: საერთოდ რატომ არის საჭირო მათი არსებობა? თუ მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების შინაარსი, თავისი უფლება-მოვალეობები და სავარაუდო კონფლიქტების გადაჭრის გზები თავად განსაზღვრონ, რა მიზანს ისახავდა კანონმდებელი მათი სამოქალაქო კოდექსში ასახვით?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების კონკრეტული ტიპების ჩამოყალიბება მყისიერად არ ხდება. მას წინ უძღვის წლების, ზოგჯერ კი ათწლეულების განმავლობაში ასეთი სახის ურთიერთობა. თანდათანობით ისახება ის ნიშან-თვისებები, რაც განასხვავებს მას სხვა სამართლებრივი ურთიერთობებისგან, ყალიბდება ტრადიცია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მხარეები ამ ურთიერთობისას წარმოშობილი კონფლიქტის დროს, რომელ მათგანს რა უფლება-მოვალეობა აქვს. აქ, ცხადია, საუბარი არ არის რამდენიმე სუბიექტს შორის თუნდაც მრავალჯერ განხორციელებულ ტრანზაქციაზე. სამართლებრივი ურთიერთობა გამოკვეთილ სახეს იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სამოქალაქო ბრუნვაში იმკვიდრებს თავის ადგილს, მასში მონაწილეობს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. სხვა შემთხვევაში, ის შეიძლება მეორდებოდეს მხოლოდ კონკრეტული კატეგორიის პირებს შორის (მაგალითად, მეწარმეებს შორის), მაგრამ მას აუცილებლად მასობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს და მისი გავრცელების სფერო რამდენიმე პირით არ უნდა ამოიწურებოდეს.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონმდებელი წერილობით ფორმას აძლევს მხოლოდ იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც უკვე არსებობს სამოქალაქო ბრუნვაში. ახალი სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის დამსახურებაა. ადამიანების მოთხოვნილებები, ინტერესები და ფანტაზია უსაზღვროა. შეუძლებელია წინასწარ ყველა შემთხვევის გათვალისწინება. ხელშეკრულების დადებისას მხარეები, როგორც წესი, არ ფიქრობენ იმაზე, არის თუ არა ასეთი ტიპის ხელშეკრულება გათვალისწინებული კანონმდებლობით, მით უფრო, თუ ისინი მეწარმეები არ არიან. მათ აქვთ კონკრეტული მიზანი, რომლის მისაღწევადაც თანხმდებიან გარკვეულ პირობებზე და ვარაუდობენ, რომ სახელმწიფო მათ ურთიერთობაში არ ჩაერევა. როგორც წესი, სწორედ ასეც ხდება. თუ ხელშეკრულება შესრულდა ან მხარეებმა კონსენსუსით მოაგვარეს

ყველა სადავო საკითხი, მისი არსებობის შესახებ შესაძლოა ამ ხელშეკრულების მხარეების გარდა ვერავინ გაიგოს. სახელმწიფო ინსტიტუტები პირთა ურთიერთობაში ერევიან მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოიქმნება კონფლიქტი ან საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე ეს პირდაპირ არის კანონით განსაზღვრული (მაგ.: ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, უფლების რეგისტრაცია საჯარო ან სამეწარმეო რეესტრში და სხვა). აქ კიდევ ერთხელ ჩნდება შეკითხვა: თუ მხარეები თავად თანხმდებიან მათთვის მნიშვნელოვან პირობებზე და თუ ხელშეკრულება შედეგებს მხოლოდ მათთვის წარმოშობს (ანუ მესამე პირებისა თუ საზოგადოების ინტერესებზე არავითარ გავლენას არ ახდენს), რისთვის არის საჭირო კანონმდებლის მიერ ხელშეკრულებების ტიპებად დაყოფა და მათთვის მოქმედი ნორმების შემუშავება?

უპირველეს ყოვლისა, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მიუხედავად მხარეთა (როგორც წესი) გულწრფელი სურვილისა, რომ ხელშეკრულება შესრულდეს ისე, როგორც შეთანხმებულია, პრობლემები შეიძლება ყველა ეტაპზე წარმოიშვას. ის შეიძლება უკავშირდებოდეს შესრულების შეუძლებლობას, ნაკლს, ზიანს, ვადის დარღვევას და ა.შ. ამ დროს დგება საკითხი, თუ რა სამართლებრივი მექანიზმით შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა ან ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული დანაკლისის ანაზღაურება.

როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების ამა თუ იმ ტიპის ფორმირებას წინ უძღვის მისი მრავალჯერ გამოყენება. ამდენად, მხარეებისთვის უკვე ცნობილია, თუ რომელი სამართლებრივი ურთიერთობა მოიაზრება ამა თუ იმ დასახელების ხელშეკრულებაში, რა უფლება-მოვალეობებს ანიჭებს ის მხარეებს და როგორ წყდება ხოლმე ასეთი ხელშეკრულებისთვის თანმდევი კონფლიქტური სიტუაცია, როგორც საყოველთაოდ აღიარებული და ჩვეულებებში დამკვიდრებული. თუმცა ჩვეულებები სამართლის წყაროდ იშვიათად გამოიყენება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს. ხოლო 339-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.

მოხმობილ ნორმათაგან პირველი საკმაოდ ზოგადია და გამოიყენებენ თუ არა მას სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ, ეს პრაქტიკაზეა დამოკიდებული. მეორე ნორმის მოქმედების სფერო უფრო ვიწროა და მისი მოქმედება კონკრეტული ურთიერთობებით შემოიფარგლება. დღეისთვის არსებული პრაქტიკა ამ ნორმათა გამოყენების მხრივ მწირია. სასამართლოში დავის განხილვისას მხარეებმა რამდენჯერმე მიუთითეს ჩვეულებების გამოყენების მართებულობაზე, მაგრამ უშედეგოდ.²⁰ არის სასამართლოს მიერ ჩვეულებებისთვის სავალდებულო ძალის მინიჭების შემთხვევაც.²¹ თუმცა, როგორც აღინიშნა, მას მასობრივი ხასიათი არა აქვს. სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს, ჩვეულება ვერ გახდება მოთხოვნის მყარი საფუძველი, ვინაიდან განსხვავებით კანონით პირდაპირ გაწერილი ნორმისა, რომელსაც უშუალო მოქმედების ძალა აქვს, ჩვეულებით მოთხოვნა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დასაბუთდეს.

ამდენად, კანონში სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგება ამ ურთიერთობის მხარეებს მეტ გარანტიებს უქმნის, რომ მათი უფლებები დაცული იქნება. თუმცა ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, შემუშავებულიყო ზოგადი ნორმები, რომლებიც თანაბრად გავრცელდებოდა ყველა ტიპის ხელშეკრულებაზე, ხოლო სპეციფიკურ პირობებზე მხარეები თავად შეთანხმდებოდნენ?

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებათა ტიპოლოგია წინააღმდეგობაში არ მოდის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან ისევე და ისევე იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულებით სამართალში numerus clausus-ის პრინციპი არ მოქმედებს. სამოქალაქო კოდექსში მოცემული სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ნორმები ხელშეკრულების ყველა ტიპზე ვრცელდება, თუმცა კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია მათი ინდივიდუალური მოწესრიგება. სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებულ

²⁰ იხ. სუსგ, 08.06.2010, საქმის №: ას-107-101-2010, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; სუსგ, 20.06.2011, საქმის №: ას-582-550-2011, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; სუსგ, 15.12.2011, საქმის №: ას-995-1028-2011, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

²¹ სუსგ, 05.06.2007, საქმის №:ას-7-362-07, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი დებულებები ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველ საკითხს კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები არ მოიცავს.

საკანონმდებლო დონეზე მათ ტიპებად ასახვას მნიშვნელობა აქვს პირველ რიგში სამართლებრივი სტაბილურობისთვის. მას შემდეგ, რაც სამართლებრივი ურთიერთობა მკვეთრად გამოხატულ ნიშან-თვისებებს იძენს, ის ემიჯნება სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს. მნიშვნელოვანია, რომ მისი თავისებურებები შენარჩუნდეს. დაუშვებელია სამართლებრივი ურთიერთობა მუდმივად იცვლებოდეს. კანონში ასახვით ხელშეკრულების პოტენციურმა მხარეებმა იციან, თუ რასთან ექნებათ საქმე. გამორიცხული არაა, რომ მხარეთა შინაგანი ნება არ დაემთხვეს გარეგნულად გამოხატულს. ასეთ შემთხვევაშიც კანონი კეთილსინდისიერი კონტრაქტის დამცველად გვევლინება. თუ მხარეები საუბრობენ, პირობითად, ქირავნობაზე ან ნარდად აღებაზე და ის ძირითადი ვალდებულებები, რაც მათ ერთმანეთის მიმართ იკისრეს, სწორედ ამ ხელშეკრულების შესაბამისია და ამ სამართალურთიერთობის შესაბამისი ტიპის ხელშეკრულებადაა იდენტიფიცირებული, ამ შემთხვევაში მეორე მხარის მითითება, რომ ის სხვა ხელშეკრულებას გულისხმობდა, უსაფუძვლო იქნება.

გარდა ამისა, ხელშეკრულების დადებისას მხარეები, როგორც წესი, მხოლოდ მათთვის მნიშვნელოვან პირობებზე თანხმდებიან და მრავალ საკითხს მოუწესრიგებელს ტოვებენ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს იმ ვარაუდისთვის თავის არიდება, რომ შესაძლოა კონტრაქტმა ვალდებულება შეასრულოს ვადის გადაცილებით, არა დათქმულ ადგილას, ან საერთოდ არ შეასრულოს; ხშირად მხარეები ფიქრობენ, რომ ასეთი დარღვევა სავარაუდო არ არის, ან დარღვევის შემთხვევაში შეძლებენ შეთანხმების მიღწევას; მათ არ სურთ დააბრკოლონ მოლაპარაკება მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მზადყოფნისა და შესაძლებლობის ეჭვქვეშ დაყენებით.

ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური საფუძველი, კერძოდ, ხელშეკრულების მომზადებისთვის გაწეული ხარჯი შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ის სარგებელი, რაც მან მხარეებს მოუტანა. ხელშეკრულების ცალკეული პუნქტის დეტალური მოწესრიგებისთვის გაწეული ხარჯი მხოლოდ მაშინ არის

გამართლებული, თუ საქმე დიდ თანხას ეხება ან თუ მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ცალკე აღებული კონტრაქტი მცირე ღირებულებისაა, მხარე იმდენად ხშირად იყენებს მას, რომ უღირს ხარჯის გაღება და ძალისხმევა, რათა დეტალურად მოაწესრიგოს ის, როგორც წესი, ხელშეკრულების ძირითადი (ზოგადი, სტანდარტული) პირობების სახით.²²

ასეთი დასკვნა დასტურდება არსებული პრაქტიკის ანალიზით და ამ მხრივ არც საქართველოშია განსხვავებული მდგომარეობა. კვალიფიციური იურიდიული მომსახურება საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რის გამოც ფიზიკური პირები ნაკლებად მიმართავენ მას. თავად მხარეები, როგორც წესი, ნაკლებად არიან გათვითცნობიერებული სამართლებრივ ნიუანსებში და ვერ განჭვრეტენ იმ პრობლემებს, რაც შემდგომში შეიძლება წარმოიშვას. ასეთი რისკები გარკვეულწილად მცირდება, თუ მხარეები ხელშეკრულების დასადასტურებლად მიმართავენ ნოტარიუსს, რომელიც ამოწმებს ხელშეკრულების შესაბამისობას კანონმდებლობასთან და განუმარტავს მხარეებს მის სამართლებრივ შედეგს. განსხვავებული სურათია იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე დიდ კომპანიას და ამ კომპანიისთვის სპეციფიკურ საქმიანობას ეხება. ასეთ შემთხვევაში ფართოდ გამოიყენება წინასწარ შემუშავებული ხელშეკრულების ფორმები, მათ შორის, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სახით. მაგ.: საბანკო მომსახურების სფეროში დადებული ხელშეკრულებები, გადამზიდველები, კომპანიები, რომელთაც დიდი მოცულობით შესყიდვები აქვთ და სხვა.

თუმცა, ვერც ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ ხელშეკრულება სრულყოფილი იქნება. აბსოლუტური გარანტია, რომ მოვლენების ნებისმიერი განვითარება გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, არ არსებობს. თუ ასეთი საკითხი წამოიჭრა, მხარეები, ცხადია, მიმართავენ კანონს. ამ დროს დღის წესრიგში დგება საკითხი, თუ კონკრეტულად რომელი ნორმები უნდა გამოიყენონ, რისთვისაც გადამწყვეტია ხელშეკრულების კონკრეტული ტიპისადმი კუთვნილება. სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებაში მხარეთა მიზნები და ინტერესები ერთმანეთისგან განსხვავებულია. სწორედ

²² Hein Kötz, Interpretation of Contracts, in: Towards a European Civil Code, 1998, 267-283.

ამ განსხვავებულობის საფუძველზე ადგენს კანონმდებელი, რომ დამქირავებლის მოთხოვნის უფლება იგივე არაა, რაც მსესხებლისა. კონკრეტული ხელშეკრულების ინტერესთა გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსში ჩამოყალიბებულია სწორედ ამ ხელშეკრულების მხარისთვის მინიჭებული პირველადი და მეორადი მოთხოვნის უფლებები. შესაძლოა ხელშეკრულების მხარეებს ეს გაცნობიერებული არც ჰქონდეთ, თუმცა იგი გამოკვეთილია ხანგრძლივი პრაქტიკის გაანალიზების შედეგად სამართლებრივი ურთიერთობის კოდიფიცირებისას. ამდენად, კანონი მხარეებს ანიჭებს იმ უფლებებსაც კი, რომელთა შესახებ მათ არც კი იციან, მაგრამ რომელიც კეთილსინდისიერების პრიციპის გათვალისწინებით სამართლიანია კანონმდებლის თვალთახედვიდან.

იმ შემთხვევაში თუ მხარეები არ ეთანხმებიან კანონმდებლის ჩანაფიქრს, მათ ყოველთვის შეუძლიათ განსხვავებულ პირობაზე შეთანხმდნენ (ცხადია, თუ ეს არ ეწინააღმდეგება იმპერატიულ ნორმებს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მხარეები კანონისგან განსხვავებულად არ აწესრიგებენ მათ შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, მოქმედებს მათი უცვლელად დატოვების ნების პრეზუმფცია.

1.5 ხელშეკრულების ტიპის იდენტიფიკატორები

ხელშეკრულების შინაარსი შედგება ძირითადი არსისგან (*essentialia negotii*²³), რომელსაც მიეკუთვნება შესასრულებელი ვალდებულება, საპასუხო ვალდებულება და ეკვივალენტური ურთიერთდამოკიდებულება შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის. ამას ემატება ხელშეკრულების საბოლოო სახის მისაცემად მნიშვნელოვანი შემვსები დებულებები (*naturalia negotii* და *accidentalialia negotii*).

Naturalia negotii-ად მიიჩნევა არაარსებითი პირობები, რომლებიც, როგორც წესი, მოცემულია ხელშეკრულებაში, მაგრამ მათი არსებობა აუცილებელი არაა. ხოლო *Accidentalialia negotii* არის პირობები, რომლებიც მხარეებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში სურთ,

²³ ხელშეკრულების არსებითი პირობები.

მაგრამ ხელშეკრულების სავალდებულო აუცილებელი ნაწილი არ არის.²⁴

ამგვარად, *Accidentalialia negotii*, მართალია, ერთი მხრივ, ხელშეკრულების ტიპის განმსაზღვრელი არაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მათზე შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება. ამასთან, ეს ხარვეზი არც კანონმდებლობაზე მითითებით შეივსება, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, იგი მხარეთა სპეციალური შეთანხმების საგანია და არა პირობა, რომელიც კანონმდებლის მიერ არის გათვალისწინებული კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებისთვის ან ზოგადად ხელშეკრულებებისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ უკანასკნელის მოქმედებას გამოორიციხავს მხოლოდ მხარეთა პირდაპირი შეთანხმება, *Accidentalialia negotii*-ს თაობაზე კი პირიქით, მხარეები საგანგებოდ უნდა შეთანხმდნენ.

Essentialia negotii მხარეთა მიერ უნდა განისაზღვროს. საბაზრო ეკონომიკაში კანონს არ შეუძლია დაადგინოს სახელშეკრულებო ვალდებულების საგანი. აქ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება ხელშეკრულების დადების თავისუფლებასთანაა დაკავშირებული. *Naturalia negotii* და *accidentalialia negotii* პირიქით, შეიძლება კანონმა ჩამოაყალიბოს. ამ შესაძლებლობას კანონმდებელი ხშირად იყენებს ვალდებულებით სამართალში. მაგრამ თუ საქმე მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლებებსა და ინტერესებს შეეხება, მათ შეუძლიათ თავიანთი ინტერესები საკუთარი პასუხისმგებლობით მოაწესრიგონ. აქედან გამომდინარე, ვალდებულებითი სამართლის სფეროში მხარეთა განსხვავებული შეთანხმების შედეგად, კანონის დებულებები ძალას კარგავს და მხოლოდ სუბსიდიარულად გამოიყენება, მაშინ, როდესაც მხარეებს განსხვავებული შეთანხმება არ დაუდვიათ. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების საფუძველზე მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რამდენად დეტალურად მოაწესრიგებენ ხელშეკრულებას, თუ ამის ნაცვლად დაურეგულირებელი ნაწილების მოწესრიგებას დისპოზიციურ სამართალს ან სამოსამართლო სამართალს მიანდობენ.²⁵

²⁴ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 73. Aufl., München, 2014, 80, Rn. 4.

²⁵ Karl Larenz, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 637.

უმრავლესობის მიერ აღიარებული თეორიის თანახმად, რომლის საფუძველზეც იმიჯნება ხელშეკრულების ტიპები, საკმარისი უნდა იყოს შესაბამისი ტიპის *essentialia negotii*-ის შედარება.²⁶ ამ შეხედულების თანახმად, თუ ერთი ხელშეკრულება მეორე ხელშეკრულების ქვეტიპია, მას “თავისი“ არსებითი პირობები ექნება. სხვა მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულების ყველა ტიპი შექმნილია როგორც დამოუკიდებელი და თანაბარი მნიშვნელობის სამართლებრივი ინსტიტუტი. ამიტომ, თუ რომელიმე საკითხი მოწესრიგებული არ იქნება, უნდა მივმართოთ ანალოგიას.²⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულიად, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ხოლო ის, თუ რა მიიჩნევა ასეთ პირობად, განმარტებულია ამავე მუხლის მე-2 ნაწილში, კერძოდ, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

ამდენად, ხელშეკრულების არსებითი პირობები ორგვარად შეიძლება განისაზღვროს: მხარეთა შეთანხმებით ან კანონის მიერ. მხარეთა მიერ არსებითი პირობების განსაზღვრისას ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირობა კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულების ტიპის ფარგლებში, ან ისეთი პირობების განსაზღვრა, რომელიც არც ერთი ხელშეკრულების ტიპს არ შეესაბამება და შედეგად გვადლევს ატიპურ ან შერეული ტიპის ხელშეკრულებას, რაც სრულად შეესაბამება ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს. მაგრამ თუ ასეთ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრა კანონმდებლის პრეროგატივად მიიჩნევა. ჩაითვლება თუ არა ეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვად? თუ

²⁶ Thomas Raff, Vertragstypenbildung im polnischen Recht unter besonderer Berücksichtigung der Generalklausel von Art. 750 KC, in: Vertragstypen in Europa, historische Entwicklung und europäische Perspektiven, 2011, München, 235.

²⁷ იქვე, 235-236.

მხარეები შეგნებულად არ თანხმდებიან კონკრეტულ პირობაზე, რატომ უნდა განაპირობოს ამან ხელშეკრულების ბათილობა?

ხელშეკრულების არსებით პირობად კანონით, როგორც წესი, მიიჩნევა ერთი მხარის მიერ ნაკისრი შესასრულებელი ვალდებულება და მისი შემხვედრი ვალდებულება. მხარეები გარკვეულ ვალდებულებას კისრულობენ მხოლოდ საპასუხო ვალდებულების სანაცვლოდ. კანონი ყოველთვის გამოდის გონივრულად მოაზროვნე ობიექტური პირის თვალთახედვიდან და ასე განსაზღვრავს, თუ რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს თითოეულ მათგანს. შეუძლებელია პირმა ნების თავისუფალი გამოვლენისას, მასზე ყოველგვარი ზემოქმედების, მათ შორის განსაკუთრებული ნდობის გამორიცხვით, ისე იკისროს ვალდებულება, რომ არ იცოდეს, თუ რას მიიღებს სანაცვლოდ. აქ შეიძლება პარალელის გავლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლთან, რომლის თანახმად, გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს სამართლებრივი ურთიერთობების სიცხადეს, რათა თავიდან აიცილონ ბუნდოვანი და ორაზროვანი ურთიერთობები. შესაბამისად, კანონი ამ შემთხვევაში მხარეთა ავტონომიაში შეჭრით დამცავ ფუნქციას ასრულებს.

სსკ-ის 327-ე მუხლი, ერთი მხრივ, შეგვიძლია მივიჩნიოთ დაცვითი ფუნქციის მქონე ვალდებულებითი სამართლის იმპერატიულ ნორმად. მეორე მხრივ, სწორედ ხელშეკრულების არსებითი პირობები იძლევა ხელშეკრულების ტიპის იდენტიფიცირების საშუალებას. სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლად არსებული პირობების დადგენით ირკვევა, თუ რომელ ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე.

ხელშეკრულების ტიპის იდენტიფიცირება მისი სახელწოდების განსაზღვრისთვის არ ხდება და, პირიქით, სახელწოდება არ განსაზღვრავს ხელშეკრულების ტიპს. მართალია, სახელწოდება გვიქმნის მოლოდინს, რომ სწორედ ასეთი ტიპის ურთიერთობასთან გვექნება საქმე, მაგრამ საბოლოოდ შეფასებისთვის არსებითი მისი საგანი და ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული მხარეთა უფლება-მოვალეობებია. ხელშეკრულების იდენტიფიცირების მნიშვნელობას რომ დავუბრუნდეთ, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი

ხელშეკრულება სრულყოფილი არ არის, ანუ არ შეიცავს მომწესრიგებელ დებულებებს ყველა შემთხვევისთვის. შესაბამისად, როდესაც აუცილებელი ხდება ისეთი კონფლიქტის დარეგულირება, რომელზეც ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი, ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ სამოქალაქო კოდექსის რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული. ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის დადგენა ხდება ხელშეკრულების არსებითი პირობების მეშვეობით. კერძოდ, განსახილველი ხელშეკრულების არსებითი პირობების მეშვეობით განისაზღვრება ხელშეკრულების ტიპი, რის შედეგადაც ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი გარემოება წესრიგდება ამ ტიპის ხელშეკრულების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმებით.

2. ხელშეკრულებების ტიპების კლასიფიკაცია

ხელშეკრულების ტიპები, ძირითადად, კოდიფიცირებულია სამოქალაქო კოდექსში, თუმცა ისინი სხვა კანონებშიც არის მოცემული, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების კანონმდებლობაში, რომელთაც სამოქალაქო კანონმდებლობის მრავალწლიანი ტრადიცია აქვთ. ასეთ ქვეყნებში სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანას ამჯობინებენ ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას ცალკე კანონით.

დოგმატური და პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა ხელშეკრულების ტიპოლოგიის ჩამოყალიბების მცდელობები. არსებობს როგორც შედარებით დიდ, ისე მცირე ჯგუფებად დაყოფის ალტერნატივები. ხელშეკრულებათა დაყოფა ტიპებად მრავალი ნიშნით ხდება. ასეთი შეიძლება იყოს თავდაცვის მექანიზმები, რომლებიც გათვალისწინებულია უფლებადარღვეული მხარისთვის: ხელშეკრულების ფორმა (წერილობით, ზეპირი), ხელშეკრულების შინაარსი (ხელშეკრულებები მოძრავ ნივთებზე და უძრავ ნივთებზე, საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე, კომერციული და არაკომერციული) და სხვა.²⁸

²⁸ Geoffrey Samül, Classification of contracts: A view from a common lawyer, in: Vertragstypen in Europa, historische Entwicklung und europäische Perspektiven, München, 2011, 122-149.

სამართლის ისტორიული სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ფრიდრიხ კარლ ფონ სავინის მოსაზრებით, ხელშეკრულებები უნდა დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

1. სავალდებულო ძალის მიხედვით – *Legitimae* და *Juris gentium conventiones*. პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ხელშეკრულებების სავალდებულოება უდავოა, ხოლო მეორე ჯგუფის ხელშეკრულებებისთვის სავალდებულო ძალა გარკვეულ წინაპირობებზეა დამოკიდებული;

2. წარმოშობილი ვალდებულებების შინაარსიდან გამომდინარე: ცალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები. თუმცა სავინი აღნიშნავს, რომ არის კიდევ ხელშეკრულების ტიპი, რომელიც ცალმხრივია, მაგრამ შეიძლება ორმხრივი ვალდებულება წარმოქმნას, რომელსაც ხელშეკრულების მიზანი არ მოიცავს (დეპოზიტი, მინდობილობა);

3. დასახული მიზნიდან გამომდინარე: ხელშეკრულებები, რომლებიც მიზნად ისახავს მხოლოდ ერთი მხარისთვის სარგებლის მინიჭებას და ხელშეკრულებები, რომლებიც მიზნად ისახავს ორივესთვის სარგებლის მინიჭებას. პირველი ტიპის იმავდროულად ცალმხრივი ხელშეკრულება უნდა იყოს. მეორე ტიპის შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი სარგებლის, ისე ორმხრივი სარგებლის მომტანი;

4. *Stricti juris* და *bonae fidei contractus*.²⁹

ვინდშიაიდი მიჯნავს ხელშეკრულებებს ცალმხრივად და ორმხრივად, ძირითად და არაძირითად ხელშეკრულებებად. თუმცა მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია მის მიერ შემოთავაზებული შემდეგი დაყოფა: 1. ხელშეკრულებები, რომლებიც გადაცემული ნივთის უკან დაბრუნებას ითვალისწინებს (სესხი, თხოვება, გირავნობა); 2. ხელშეკრულებები, რომლებსაც საფუძვლად უდევს გაცვლა, ანუ ხელშეკრულების ორივე მხარე გადასცემს კონტრაქტს შესრულების საგანს (მაგ.: ნასყიდობა, გაცვლა, ქირავნობა). ამ ჯგუფს მიეკუთვნება ნებისმიერი ორმხრივი ხელშეკრულება ნივთითა და მომსახურებით სარგებლობის შესახებ; 3. ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი ხელშეკრულებების საზოგადოების შექმნა და ჩამოყალიბება; 4. დავალება; 5. ხელშეკრულებები, რომელიც მიმართულია სამართლებრივი

²⁹ Savigny, *Das Obligationenrecht als Theil des heutigen römischen Rechts*, II B., Berlin, 1853, 197-225, <http://dlib-pr.mpier.mpg.de>.

გაურკვევლობის აღმოფხვრისკენ (მაგ.: ვალის აღიარება, მორიგება);
5. თამაშობა და სანამძლეო.³⁰

დერნბურგი ხელშეკრულებებს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: რეალური და კონსენსუალური, რომლებშიც გაერთიანებული ხელშეკრულებები მათ თანამედროვე გაგებას შეესაბამება.³¹

თანამედროვე ავტორებს რაც შეეხება, ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, საკმარისი უნდა იყოს სამი ტიპი: პირველი – ნივთის გადაცემის თაობაზე, მეორე – რომელთა არსი ქმედების განხორციელებაშია და მესამე – დანარჩენი ხელშეკრულებები. თუმცა ამგვარი ტიპოლოგია გაკრიტიკებულია, ვინაიდან პირველი და მეორე ძალიან ჰგავს დაყოფას ჯგუფებად, რომელთა საგანი “საქონელი“ და “მომსახურება“, ხოლო მესამე ჯგუფი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სრული დაყოფა მაინც ვერ მოხერხდა. ზოგიერთი ავტორი კი გვთავაზობს ძალიან დეტალურ სისტემას, რომელიც მოიცავს 11 ჯგუფს.³²

კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულებები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1. გარიგებები გასხვისების შესახებ, მაგ.: ნასყიდობა; 2. ხელშეკრულებები მფლობელობაში გადაცემის ან ვადიანი სარგებლობის შესახებ (ქირავნობა, იჯარა, თხოვება, სესხი); 3. საქმიანობა სხვის სამსახურში ან ინტერესებში (მომსახურების ხელშეკრულება, ნარდად აღება, მაკლერის ხელშეკრულება, ჯილდოს საჯარო დაპირება, დავალება, და სხვა); 4. ერთობლივი საქმიანობა; 5. შერეული ტიპის ხელშეკრულებები და (ზოგიერთი) ახალი კანონით მოუწესრიგებელი სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი ხელშეკრულების ტიპები (ფინანსირებული ნასყიდობა, ლიზინგი); დაბოლოს, 6. ხელშეკრულებები, რომლებიც ძირითადად მოთხოვნის უზრუნველყოფას ან გამყარებას ემსახურება (თავდებობა, საგარანტიო ხელშეკრულება და სხვა).³³

³⁰ Bernhard Windscheid, Lehrbuch des Pandektenrechts – 3. Aufl., B. 2, Düsseldorf, 1870, <http://dlib-pr.mpiet.mpg.de/m/kleioc/0010/exec/books/%22214192%22>.

³¹ Dernburg, Pandekten – 6., verb. Aufl., B. 2, Obligationenrecht, Berlin, 1900, 231-351, <http://dlib-pr.mpiet.mpg.de>.

³² Thomas Raff, Vertragstypenbildung im polnischen Recht unter besonderer Berücksichtigung der Generalklausel con Art. 750 KC, in: Vertragstypen in Europa, historische Entwicklung und europäische Perspektiven, München, 2011, 236-237.

³³ Karl Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II Band, München, 1972, 2-3.

ხელშეკრულებათა ჯგუფებად დაყოფისას უნდა გავითვალისწინოთ, რამდენად მიზანშეწონილია თითოეული ხელშეკრულებისთვის დამახსიათებელ ნიშან-თვისებაზე ყურადღების გამახვილება. როგორც ზემოთ მითითებული კლასიფიკაციებით ვხედავთ, არც ერთი მათგანი (იგულისხმება კლასიფიკაციები ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით) ამომწურავი არ არის. რაც უფრო დეტალურია მცდელობა, მით უფრო ამაოა ის, თითოეული ხელშეკრულების მკვეთრად გამოხატული ნიშან-თვისებების გათვალისწინებით. ამგვარად, შესაძლებელია მხოლოდ ერთმანეთის მონათესავე რამდენიმე ტიპის ხელშეკრულების, როგორებიცაა, მაგალითად, ქირავნობა და იჯარა, გაერთიანება ერთ ჯგუფად. ამასთან, რაც უფრო მეტი ნიშნის მიხედვით მოხდება მათი დიფერენცირება, მით მეტია ალბათობა, რომ ის ამომწურავი არ იქნება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ხელშეკრულებების დაყოფა სამ დიდ ჯგუფად: ხელშეკრულებები საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, ხელშეკრულებები სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ და ხელშეკრულებები მომსახურების შესახებ.

ნებისმიერი ხელშეკრულების ანალიზის შედეგად, ცხადი ხდება, რომ ის შეიცავს ერთ-ერთ ზემოთ მითითებულ კომპონენტს. შესაძლოა, ხელშეკრულება მოიცავდეს ერთზე მეტ მითითებულ კომპონენტს, მაგრამ ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია ასევე მათ შორის დომინანტის დადგენა.

საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება: ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა, სესხი. აღნიშნული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება აშკარაა და ნაშრომში დამატებით მათზე ყურადღება აღარ გამახვილდება.

სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება: ქირავნობა, იჯარა, თხოვება, ფრენშაიზინგი. პირველი სამი ხელშეკრულების მიკუთვნება ამ ჯგუფისადმი სადავო არ არის. რაც შეეხება ფრენშაიზინგს, ის შედარებით ახალ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს და კომპლექსურ ურთიერთობას მოიცავს. თუმცა, თუ მხარეთა უფლება-მოვლევებიდან ამოვალთ, ცხადი გახდება მისი ამ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 608-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია ფრენშაიზის მიმღებს

მიაწოდოს მის მიერ გამოყენებული ფორმით არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცენფცია, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გასაღების ხელშესაწყობად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირთა ჩარევისგან, განუწყვეტლივ განავითაროს იგი და საქმიანი ჩვევების გაზიარებით, ინფორმაციის მიწოდებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრენშაიზის მიმღებს.

რაც შეეხება ფრენშაიზის მიმღების უფლება-მოვალეობებს, სსკ-ის 609-ე მუხლის თანახმად, ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობაც არსებითად გამოითვლება ფრენშაიზინგის სისტემის განხორციელებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად განახორციელოს საქმიანობა, მიიღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი ფრენშაიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუკი ეს უშუალოდ დაკავშირებულია ხელშეკრულების მიზანთან.

ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთ მხარეს – საწარმოს სარგებლობაში გადაეცემა არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცენფცია, ასევე სხვა ინფორმაცია, რათა მათი გამოყენებით საწარმომ მიიღოს მოგება, რის სანაცვლოდაც მიმღების ძირითადი ვალდებულება ამ უფლებებით სარგებლობისთვის საზღაურის გადახდაა.

მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება: ნარდად აღება, ტურისტული მომსახურება, გადაზიდვა-გადაყვანა, დავალება, საკუთრების მინდობა, სატრანსპორტო ექსპედიცია, ჯილდოს საჯაროდ დაპირება, კონკურსი და სხვა.

ნარდად აღების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ის მოიცავს როგორც მომსახურების, ისე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ ელემენტებს. ქართული კანონმდებლობის თანახმად, თუ ნარდად აღება ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს საკუთარი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს

საკუთრების უფლებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები (სსკ-ის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუმცა საინტერესოა, თუ როგორ მიჯნავს გაეროს 1980 წლის კონვენცია “საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ”³⁴ ნასყიდობას ნარდად აღებისგან. აღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქონლის, რომელიც უნდა დამზადდეს ან იწარმოოს, მიწოდების ხელშეკრულება ჩაითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად, თუ საქონლის დამკვეთი მხარე არ იღებს ასეთი საქონლის დამზადების ან წარმოებისთვის საჭირო მასალის მნიშვნელოვანი (არსებითი) ნაწილის მიწოდების ვალდებულებას.

როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების ტიპს განსაზღვრავს მისი შინაარსი, ის ინტერესი და მიზანი, რაც მხარეებს ამომრავებთ. ამგვარი თვალსაზრისით კონვენციის მიერ შემოთავაზებული დიფერენცირება უფრო მისაღებია და კარგად წარმოაჩენს ნარდად აღებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებათა თავისებურებებს. ნივთის გვაროვნულობა თუ ინდივიდუალური განსაზღვრულობა ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებაზე გავლენას ვერ მოახდენს. ხოლო როდესაც დამკვეთი მენარდეს თავის საკუთრებაში არსებულ მასალას (მის არსებით ნაწილს) გადასცემს, ცხადია, რომ მისი ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ მომსახურება – გადაცემული მასალისგან ნივთის დამზადებაა. მეორე შემთხვევაში კი არსებითია საკუთრების უფლების გადაცემა დამზადებულ ნივთზე.

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით კლასიკურად ერთი ტიპის ხელშეკრულება არ არის და თავის თავში რამდენიმე კომპონენტს შეიძლება აერთიანებდეს, მაგალითად, მომსახურებას, ქირავნობას და ნასყიდობას. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ განმსაზღვრელი არის ტურისტული კომპანიის ვალდებულება, უზრუნველყოს საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, რათა ტურისტმა შეძლოს ხელშეკრულებაში მითითებული ყველა კომპონენტით სარგებლობა, ხელშეკრულება უნდა მივიჩნიოთ მომსახურების გაწევად.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შესაძლოა გაჩნდეს მოსაზრება, ხომ არ მივაკუთვნოთ ის

³⁴ ქართულად ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://nccl.ge/m/u/ck/files/CISG.pdf>.

სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების რიცხვს. ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, ვინაიდან სარგებლობის უფლების გადაცემის ხელშეკრულებათა ერთ-ერთი მხარის – მიმღების სამართლებრივი მდგომარეობა და ინტერესი ასეთი ხელშეკრულებისადმი განისაზღვრება იმგვარად, რომ ის გარკვეულ სარგებელს იღებს გადაცემული ქონებიდან – ცხოვრობს, იყენებს სატრანსპორტო საშუალებად, კომერციული საქმიანობისთვის, მოსავლის/შემოსავლის მისაღებად და სხვა. გამცემი, თავის მხრივ, როგორც წესი, ამისთვის იღებს შეთანხმებულ საზღაურს. საკუთრების მიმდობის ხელშეკრულების შემთხვევაში კი, რაიმე სარგებელი მიმდობილი მესაკუთრისთვის უშუალოდ ამ ქონებიდან არ გამომდინარეობს, ის მოქმედებს საკუთრების მიმდობის ხარჯით და სარგებელზე პრეტენზია ვერ ექნება, ნებისმიერი ნაყოფი რჩება საკუთრების მიმდობს და მასვე ეკისრება ყველა ხარჯი.

ამდენად, საკუთრების მიმდობის ინტერესია გადასცეს ქონება მისთვის სანდო და კვალიფიციურ პირს სამართავად, რათა თავად მიიღოს შემოსავალი, როგორც წესი, მიმდობილი მესაკუთრისთვის გაწეული მომსახურებისთვის გადახდილი გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველა არსებული ხელშეკრულების მიმოხილვის გარეშე შესაძლებელია ითქვას, რომ ხელშეკრულებების სამ ჯგუფად დაყოფა გამართლებულია და შეესაბამება ხელშეკრულებათა სამართლებრივ ბუნებას.

3. „ახალი“ ტიპის ხელშეკრულებები

3.1 ახალი ტიპების ჩამოყალიბება

ხელშეკრულების თავისუფლება მხარეებს ორიგინალური ხელშეკრულებების შემუშავების საშუალებას აძლევს, რომლებიც საკმაოდ ხშირად შორს დგას უკვე ცნობილი სამართლებრივი კატეგორიებისგან. ასეთი ე.წ. *sui generis* ხელშეკრულებები შეიძლება ცალკეულ შემთხვევებად დარჩეს. თუმცა თუ ახალი სამართლებრივი კონსტრუქცია განსაკუთრებულად ადეკვატური აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად,

მას კვლავაც მიმართავენ, რის შედეგადაც ის თანდათანობით დაიხვეწება და ახალი ტიპის ხელშეკრულება ჩამოყალიბდება.³⁵

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ახალი ხელშეკრულების ტიპებად მიიჩნეოდა ლიზინგი (საქართველოს სკ-ის 576-580⁶-ე მუხლები), ფრენშიზინგი (საქართველოს სკ-ის 607-614-ე მუხლები), ტურისტული მომსახურება (საქართველოს სკ-ის 657-667-ე მუხლები), ასევე ხელშეკრულებები, რომლებმაც დღეისთვის ასახვა ვერ პოვეს ქართულ კანონმდებლობაში – ფაქტორინგი, turn-key და სხვა.

ხელშეკრულებების ახალი ტიპების ჩამოყალიბების პროცესი სამოქალაქო ბრუნვაში ყველაზე კარგად ამოიცინობა იმ ხელშეკრულების ტიპების განხილვისას, რომელთა ფორმირება და ტიპის იდენტიფიცირება სასამართლო პრაქტიკაში ჯერ სრულად არ დამთავრებულა. ეს ხელშეკრულებები, მართალია, ხელშეკრულების ისეთ ცნობილ, ძირითად ტიპებს ჰგვანან, როგორცაა ნასყიდობა, ქირავნობა, მაგრამ თანდათანობით იმდენად დაშორდნენ მათ, რომ ინიდივიდუალური ხელშეკრულების ტიპებად აღიქმებიან. მათი ფორმირება მიმდინარეობს, ერთი მხრივ, ეკონომიკური წრეების მონაწილეთა მიერ შემუშავებული და მრავალ ხელშეკრულებაში მოცემული ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო პრაქტიკით, რომელიც ხელშეკრულების პირობებს განმარტავს, ამოწმებს მათ ნამდვილობას და ამით ბიძგს აძლევს მათ განვითარებას. სამართლებრივი ბრუნვის ასეთი ახალი წარმონაქმნები, როგორც წესი, განპირობებულია ისეთი ეკონომიკური საჭიროებით, რომლის დასაკმაყოფილებლად ძველი ხელშეკრულების ტიპები საკმარისი არ არის, მაგალითად ახალი ფორმები კრედიტის (ფინანსირებული ნასყიდობა), ინვესტიციების (ფინანსური ლიზინგი), შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული და რაციონალური ეკონომიკის. კერძო სამართლის განვითარებისთვის არსებული კანონებს მიღმა, მაგრამ სამართლებრივი წესრიგის ზოგად პრინციპებთან თანხვედრაში – რასაც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს სასამართლოების მიერ გარიგებების ნამდვილობის კონტროლი, აქ ფართო ასპარეზი იშლება. ამასთან, ყოველთვის

³⁵ Marcel Fontaine, Codifying “Modern” Contracts, in: Towards a European Civil Code, 1998, 373.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ახალი ხელშეკრულებების ტიპების განვითარება ჯერ არ დასრულებულა.³⁶

3.2 ახალი ტიპის ხელშეკრულებების კანონისმიერი მოწესრიგება

კანონით გათვალისწინებული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ტიპები ერთმანეთისგან უმთავრესად განსხვავდებიან ნაკისრი ვალდებულების არსით – ნაკისრია ნივთის გასხვისება, დროებით მფლობელობაში გადაცემა, სარგებლობა, მომსახურების გაწევა და სხვა. ამას, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს განსხვავებული ტიპური საქმიანობის მიზანი. ასეთი ტიპური საქმიანობის მიზნების და შესაბამისად, საქმიანობის ტიპების ჩამონათვალი არ არის საბოლოოდ ამომწურავი. ახალი სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებიდან და ჩვეულებებიდან გამომდინარე, შეიძლება განვითარდეს ახალი ტიპური საქმიანობის სახეები, რომლებიც თავდაპირველად ბლანკებში, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში აისახება, სანამ ისინი კანონით სპეციალურად მოწესრიგდება. შესაბამისად, ხელშეკრულების ახალი ტიპების ფორმირება არის უფრო მეტად სამართლებრივი ბრუნვისა და არასაკანონმდებლო საქმიანობის შედეგი.³⁷ აღსანიშნავია, რომ ახალი ხელშეკრულების ტიპების კოდიფიცირება ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ მიმდინარეობს. ზოგ ქვეყნებში ამ საკითხს მეტი სიფრთხილით ეკიდებიან და თავს იკავებენ შესაბამისი კანონის მიღებისგან, ზოგ ქვეყანაში ახალ ტიპებს აწესრიგებენ ცალკე კანონით, ზოგ შემთხვევაში კი ხდება მათი ინკორპორაცია სამოქალაქო კოდექსში.

კონტინენტურ სამართალში ხელშეკრულების ახალი ტიპების დამკვიდრების ერთ-ერთ მიზეზად სამართლის ინტერნაციონალიზაცია და სამართლებრივი ტრანსფერის საკითხიც განიხილება, რის საფუძვლადაც ანგლოამერიკული სამართლებრივი აზროვნებისა და სტილის გადაღება მიიჩნევა.³⁸

³⁶ Karl Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II Band, München, 1972, 340-341.

³⁷ Karl Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II Band, München, 1972, 1-2.

³⁸ Gonzalez del Campo, Federico, Neue Vertragsformen als Rechtstransfer? in: Rechtsgeschichte: Zeitschrift des Max-Planck-Instituts für Europäische Rechtsgeschichte Rg 07 (2005) 46-57, <http://dx.doi.org/10.12946/rg07/046-057>.

4. ატიპური ხელშეკრულებები

ახალი ტიპის ხელშეკრულებებზე მსჯელობის დროს აღინიშნა, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მათი მრავალგზის განმეორებისა და დამკვიდრების შემდეგ, ხდება მათი იდენტიფიცირება, როგორც ხელშეკრულების კონკრეტული ტიპისა. თუმცა არის ხელშეკრულებები, რომლებსაც არამასობრივი ხასიათი აქვს და გვხვდება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში. ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ამ ხელშეკრულებებს სამართლებრივი ძალა არა აქვს, თუ ნამდვილობის ზოგად მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ასეთ ხელშეკრულებებს ატიპურ ხელშეკრულებებს უწოდებენ.

ჯერ კიდევ იუსტინიანეს დროს იყო შესაძლებელი ხელშეკრულებების ახალი კლასის იდენტიფიცირება. ეს ხელშეკრულებები იყო “უსახელო“ იმ გაგებით, რომ ქმედებები არ იყო ინდივიდუალიზებული სპეციფიკური სახელით.³⁹

ატიპურ ხელშეკრულებას თავისი ინდივიდუალური ნიშან-თვისებების გამო ვერც კანონით გათვალისწინებულ ხელშეკრულების ტიპებს და ვერც სამოქალაქო ბრუნვაში მიღებულ ხელშეკრულებებს მივაკუთვნებთ.⁴⁰ მათ ვერც შერეული ტიპის ხელშეკრულებებად მივიჩნევთ.⁴¹

ასეთი ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმები. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება დადგინდეს, თუ დამატებით ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის რომელი ნორმების გამოყენება შეიძლება პირდაპირ ან ანალოგიის სახით.⁴²

ასეთი ხელშეკრულებების მნიშვნელობა არ უნდა დავაკნინოთ. მიუხედავად მათი არამასობრივი ხასიათისა, სწორედ ისინი შეესაბამებიან მხარეთა ინტერესებს კონკრეტულ შემთხვევაში. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ სამომავლოდ ახალი ტიპის ხელშეკრულებებად დამკვიდრდნენ.

³⁹ Zimmerman, *The Law of Obligations*, 1992, 534.

⁴⁰ Palandt/Grueneberg, *Bürgerliches Gesetzbuch*, 73. Aufl., München, 2014, 486, Rn. 14.

⁴¹ Karl Larenz, *Lehrbuch des Schuldrechts*, II Band, München 337.

⁴² Emmerich, *Bürgerliches Gesetzbuch*, Münchener Kommentar, B. 2, 5. Aufl., 2007, 1447-1448, Rn. 39.

5. „რთული“ ხელშეკრულებების ტიპები

რთულ ხელშეკრულებად მიჩნეულ უნდა იქნეს ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულების მხოლოდ ერთ ტიპს და ორ ან მეტ ტიპურ ან ატიპურ ხელშეკრულებას აერთიანებს. რთულ ხელშეკრულებათა შორის უნდა გაიმიჯნოს შედგენილი და შერეული ხელშეკრულებები.

5.1 შედგენილი ხელშეკრულებები

შედგენილად მიიჩნევა ხელშეკრულება, რომელიც ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ხელშეკრულების გაერთიანების შედეგს წარმოადგენს. მხარეთა ნებით შეიძლება რამდენიმე ხელშეკრულება ჩამოყალიბდეს შედგენილ ხელშეკრულებაში ისე, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ისინი ერთ მთლიანობად განიხილებოდეს.⁴³

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, როგორც წესი, ერთ სამართლებრივ ურთიერთობას მოიცავს, ერთი საგანი და მიზანი აქვს. თუმცა, შესაძლოა შეგვხვდეს ხელშეკრულებებიც, სადაც ორი ან მეტი ხელშეკრულების ელემენტებია მოცემული. ერთსა და იმავე მხარეებს შორის დადებული რამდენიმე ხელშეკრულება, როგორც წესი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელია სამართლებრივად და ეკონომიკურად. მხარეებს შეუძლიათ რამდენიმე მათთვის მნიშვნელოვანი საკითხი ერთ დოკუმენტში მოაწესრიგონ, მაგრამ ამით ისინი ურთიერთდამოკიდებულები არ ხდებიან. მაგალითად, თუ პირი გადაწყვეტს სამეწარმეო საქმიანობისთვის სახნავი მიწის ნაკვეთის იჯარით აღებას და, ამასთანავე, მიიღებს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შეთავაზებას პირადი სარგებლობისთვის ძროხების ყიდვის თაობაზე, ორივე მათგანი დარჩება ორ დამოუკიდებელ ხელშეკრულებად, თუნდაც ორივე ხელშეკრულების პირობები ერთ დოკუმენტში ჩამოყალიბდეს (ცხადია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან). თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობები მხარეებს დამოუკიდებლად წარმოექმნებათ, რაც ნიშნავს, რომ გამყიდველის მიერ ნასყიდობის

⁴³Palandt/Grueneberg, Bürgerliches Gesetzbuch, 73. Aufl., München, 2014, 486, Rn. 16.

ხელშეკრულების დარღვევა არ გაათავისუფლებს მყიდველს, რომელიც, ამავდროულად, მოიჯარეს წარმოადგენს, იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

შედგენილი ხელშეკრულების შემადგენელი ელემენტების ერთმანეთისგან დამოუკიდებლობიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს ის საკითხიც, რომ თითოეულ ელემენტზე უნდა გავრცელდეს შესაბამისი ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები.

სხვა შემთხვევაში, შესაძლოა ორ ან მეტ ხელშეკრულებას შორის გარკვეული ეკონომიკური კავშირი იყოს ან ხელშეკრულების მხარისთვის ერთ-ერთი მათგანისადმი ინტერესი დამოკიდებული იყოს მეორე ელემენტზე, მაგ.: თუ იჯარით ასაღებ მიწის ნაკვეთზე საძროხე მეურნეობაა და სწორედ ამ მეურნეობის წარმოებაა მოიჯარის ინტერესი, ცხადია, რომ ძროხების შეძენა იჯარის ხელშეკრულების დადებაზე იქნება დამოკიდებული.

ამგვარად, შედგენილ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი ხელშეკრულების ნამდვილობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს მეორე ხელშეკრულებაზე. მაგრამ მიუხედავად ასეთი კავშირისა, უდავოა, რომ საქმე აქაც ორი სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ხელშეკრულებასთან გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც თითოეული მათგანისადმი შესაბამისი ტიპის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული.

5.2 შერეული ხელშეკრულება

სხვაგვარი ვითარებაა შერეული ტიპის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

იმ დროს, როცა შედგენილი ხელშეკრულებების შემთხვევაში მოცემულია მხარეთა ნებით გაერთიანებული, მაგრამ აზრობრივად ერთმანეთისგან განცალკევებადი რამდენიმე ხელშეკრულება, შერეული ტიპის ხელშეკრულების შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილები იმდენად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მხოლოდ მათი ერთიანობა იძლევა რაციონალურ მთლიანობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ

ზღვარი შედგენილ ხელშეკრულებასა და შერეული ტიპის ხელშეკრულებას შორის მკაფიო არ არის.⁴⁴

მოსაზრება ხელშეკრულების ტიპოლოგიის ცხოვრებისეული მოვლენების კონკრეტულ ნორმებთან და ამით კონფლიქტის გადაჭრის მექანიზმებთან მისადაგების უპირატესობის შესახებ ამ მოვლენების ზოგადი დებულებებით მოწესრიგებასთან შედარებით, ე.წ. შერეული ტიპის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გადახედვის საჭიროებას წარმოშობს. როგორი აშკარაც უნდა იყოს, თუ როგორ განსხვავდება კლასიკური ქირავნობის ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულებისგან, შერეული ცხოვრებისეული მოვლენების შეფარდებისას შეიძლება წარმოქმნას სიძნელეები.⁴⁵

შერეული ტიპის ხელშეკრულება შეიძლება წარმოადგენდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეკრულებების ერთიანობას, ან შეიცავდეს როგორც კანონით გათვალისწინებულ, ისე გაუთვალისწინებელ ტიპებს.⁴⁶ ამასთან, თავად შერეული ტიპის ხელშეკრულება შეიძლება იყოს კოდიფიცირებული, ანუ პირდაპირ გათვალისწინებული კანონმდებლობით, ან არაკოდიფიცირებული, რაც ცხადია, არ ნიშნავს, რომ მას კანონმდებელი არ აღიარებს.

შერეული ტიპის ხელშეკრულებად მიჩნევისთვის აუცილებელია მინიმუმ ორი ელემენტი, თუმცა შესაძლოა რომელიმე ხელშეკრულება მოიცავდეს სამ და მეტ ელემენტსაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა შერეული ტიპის ხელშეკრულების განმარტებას, ასევე არ იძლევა ზუსტ და დეტალურ მითითებებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი მოწესრიგება, რომელი სამართლებრივი ნორმები უნდა გავრცელდეს მასზე, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მის მხარეთა უფლება-მოვალეობებს. თუმცა, უდავოა, რომ კანონმდებელს გაცნობიერებული აქვს და აღიარებს ასეთი ხელშეკრულების

⁴⁴ Palandt/Grueneberg, Bürgerliches Gesetzbuch, 73. Auflage, München, 2014, 487, Rn. 19.

⁴⁵ Philip Nikolai, der Vertragstyp des UN-Kaufrechts, in: Vertragstypen in Europa, historische Entwicklung und europäische Perspektiven, München, 2011, 259-260.

⁴⁶ Thomas Raff, Vertragstypenbildung im polnischen Recht unter besonderer Berücksichtigung der Generalklausel con Art. 750 KC, in: Vertragstypen in Europa, historische Entwicklung und europäische Perspektiven, München, 2011, 237.

არსებობის შესაძლებლობას. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 340-ე მუხლი, რომლიც ადგენს, რომ შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან. მითითებული ნორმა ერთადერთია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელშიც მოცემულია შერეული ტიპის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოქმედი წესი.

შერეული ტიპის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დებულებები არცთუ მრავლად არის ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებში.⁴⁷

საკმაოდ დეტალურად არის მოწესრიგებული შერეული ტიპის ხელშეკრულება DCFR-ში, კერძოდ, მისი II. – 1:107 მუხლი იძლევა ინფორმაციას ამ ტიპის ხელშეკრულების, როგორც ცნების, DCFR-ისეულ ხედვაზე, ისე მისი მოწესრიგების თავისებურებებზე. ნორმის 1-ლი პუნქტი განმარტავს შერეული ტიპის ხელშეკრულების ცნებას, მე-2 პუნქტი გვამდევს შერეული ტიპის ხელშეკრულებაზე გასავრცელებელი ნორმების ზოგად წესს, მე-3 და მე-4 პუნქტები აკონკრეტებენ ამ წესს, ხოლო მე-5 პუნქტი მიუთითებს იმპერატიული ნორმების სავალდებულობაზე.

DCFR-ში განმარტებულია, თუ რა მიიჩნევა შერეული ტიპის ხელშეკრულებად. შერეულ ტიპზე მსჯელობა იწყება მას შემდეგ, რაც ცხადი ხდება, რომ ხელშეკრულება შედგება ორი ან მეტი ელემენტისაგან ანუ სამართლებრივი ურთიერთობა კომპლექსურია. ხელშეკრულების ელემენტების გამიჯვნისას DCFR ხელმძღვანელობს ამავე აქტში ჩამოყალიბებული ხელშეკრულების ტიპებით: ნასყიდობა, ქირავნობა, მომსახურება და მისი ცალკეული სახეები, მინდობილობა, ფრენშაიზინგი, დისტრიბუცია და ა.შ. შერეული ტიპის ხელშეკრულების შემადგენელი ელემენტებიდან შესაძლოა თითოეული რომელიმე კონკრეტულ ტიპს მიეკუთვნებოდეს, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ ერთ-ერთი ელემენტი ისეთ კატეგორიას გულისხმობდეს, რომელიც კონკრეტულად მოწესრიგებული არ არის და მასზე სახელშეკრულებო ურთიერთობის ზოგადი წესები ვრცელდება.

⁴⁷ მაგ.: გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ვერ ნახავთ ვერც ერთ დებულებას მის შესახებ; ესტონეთის სამოქალაქო კოდექსში არის ერთი ნორმა, ასევე დანიისა და სლოვაკეთის სამოქალაქო კოდექსში, იხ: DCFR-ი, 201-202.

DCFR-ი მიგვითითებს, რომ ამოსავალი წერტილი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მიზანია, ანუ იმის დადგენა, თუ რა შედეგის მიღწევა სურდათ მხარეებს ამ ხელშეკრულების დადებით, რა ამომრავებდათ მათ, როდესაც გამოავლინეს ნება და რა არის მათი საბოლოო ინტერესი. ნებისმიერი განმარტება უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა წარმოდგენას მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ. შედარებისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ყურადღებას ამახვილებს “შესრულების არსზე“, რაშიც სავარაუდოდ, სწორედ მხარეთა საერთო ინტერესი უნდა ვიგულისხმოთ და მიუთითებს, რომ ნებისმიერი განმარტების დროს მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან⁴⁸. ამდენად, ამ მხრივ ქართული კანონმდებლობის მიდგომა ემთხვევა DCFR-ის მიდგომას.

ხელშეკრულების მიზნის დადგენის მომდევნო ეტაპს წარმოადგენს მისი ელემენტების მიმართ მოქმედი ნორმების განსაზღვრა. ძირითადი წესია, რომ თითოეულ ელემენტზე და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებზე უნდა გავრცელდეს შესაბამისი ტიპის ხელშეკრულებისადმი მოქმედი ნორმები. ანუ ხელშეკრულება პირობითად იყოფა რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ნაწილად – ხელშეკრულებად და თითოეული მათგანის მოწესრიგება ხდება ინდივიდუალურად (იმ ცვლილებებით, რასაც ხელშეკრულების მიზანი მოითხოვს).

ხელშეკრულების ასეთი დანაწევრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შედგენილ ხელშეკრულებასთან, სადაც ხელშეკრულების თითოეული ელემენტისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობები თანაბრად, ან თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანია, მათი დადება შეიძლებოდა დამოუკიდებლად და დაკავშირება მხოლოდ მხარეთა გარკვეული ინტერესების გამო მოხდა.

სხვაგვარად წესრიგდება ხელშეკრულება, თუ მისი ერთ-ერთი ელემენტი დომინანტურია. ასეთ დროს ხელშეკრულების დანაწევრების პრინციპი აღარ გამოიყენება და შერეული ტიპის ხელშეკრულება ერთ, განუყოფელ მთლიანობად მიიჩნევა.

⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 340-ე მუხლი.

DCFR-ი ორ შემთხვევას განასხვავებს. ერთ შემთხვევაში, თვითონ DCFR-შია მოცემული შესაბამისი ნორმა, რომელიც ადგენს, რომ შერეული ხელშეკრულება შეიძლება განიხილებოდეს ერთ (დომინანტი) ტიპად, როგორც, მაგალითად, საქონლის მწარმოებლის მიერ გამოშვებული საქონლის გაყიდვა. ცხადია, რომ ყველა ასეთი შემთხვევის მოწესრიგება სპეციალური ნორმით შეუძლებელია. ამიტომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტი განმარტავს, რომ თუ სპეციალური ნორმა არ არის გათვალისწინებული DCFR-ით, უნდა დადგინდეს, რამდენად დომინანტური მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მიზნებისთვის მის რომელიმე ელემენტს. თუ ერთ-ერთი ელემენტის დომინანტობა იმდენად ცალსახაა, რომ სხვა ელემენტებს მხოლოდ შემცვენი ფუნქცია ენიჭებათ, შერეული ტიპის ხელშეკრულების სამართლებრივი მოწესრიგებისას განსახილველი ნორმის მე-2 პუნქტი აღარ ამოქმედდება.

ამ ორ შემთხვევაში მთლიანად ხელშეკრულებაზე და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებზე გავრცელდება ის წესები, რაც გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი, დომინანტი ხელშეკრულების ტიპისადმი. მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ გამოყენებულ იქნეს არადომინანტი ელემენტის შესაბამისი წესებიც, თუმცა მათ მხოლოდ დამხმარე, ე. წ. შევსების ფუნქცია აქვთ. ასეთ ნორმებზე მითითებისას ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იქნეს დომინანტი ელემენტის წესები და თუ აღმოჩნდება, რომ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგება, არჩევანი უნდა გაკეთდეს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. თუ დომინანტი ელემენტის ტიპისთვის გათვალისწინებული წესები მთლიან ხელშეკრულებაზე და მის ყველა ნაწილზე ვრცელდება, არადომინანტი ელემენტისთვის გათვალისწინებული წესები მხოლოდ ამ ელემენტიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს მოაწესრიგებს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება დომინანტი ტიპის წესებს.

განსახილველ ნორმაში პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ანალოგიური წესები გავრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი ელემენტი DCFR-ში მოცემულ არც ერთი ხელშეკრულების ტიპს არ შეესაბამება. მოქმედი ნორმების საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შესაბამისი ელემენტი ხელშეკრულებაში.

განსხვავებით DCFR-ისგან, შერეული ტიპის ხელშეკრულებებზე არაფერს გვეუბნება PECL და UNIDROIT-ის პრინციპები.

კოდიფიცირებული შერეული ტიპის ხელშეკრულებები მოცემულია გაეროს ნასყიდობის სამართალში. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია დასათაურებულია, როგორც კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, იგი მოიცავს არა მხოლოდ ტიპურ ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს, არამედ არეგულირებს სხვა ხელშეკრულების ტიპისთვის დამახასიათებელ ელემენტებსაც. ასეთია, მაგალითად, ნივთის დამზადებისა და მიწოდების ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მომსახურებას ან ნარდად აღებასაც (მაგალითად: ნასყიდობის საგნის მონტაჟი).⁴⁹

შერეული ტიპის ხელშეკრულებები იყოფა ქვეტიპებად: 1. ტიპური ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი არაარსებითი პირობა სხვა ტიპის ხელშეკრულებისთვის არის დამახასიათებელი;⁵⁰ 2. კომბინირებული ხელშეკრულებები, რა დროსაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი შესასრულებელი ვალდებულება სხვადასხვა ვალდებულებისგან შედგება, რომელთაგან თითოეული სხვა ხელშეკრულების ტიპისთვის დამახასიათებელი შესრულებაა. ერთი მხრივ, აუცილებელია, რომ მრავალი ვალდებულება როგორც ერთიანი, ისე ნაკისრია, და, მეორე მხრივ, რომ თითოეულ მათგანს ცალკე აღებულს, ხელშეკრულების მთლიანი აზრიდან გამომდინარე, არაარსებითი მნიშვნელობა აქვს;⁵¹ 3. ორტიპიანი⁵², იგივე გაცვლითი⁵³ ხელშეკრულება, რა დროსაც თითოეული მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები სხვადასხვა ხელშეკრულებების ტიპებს მიეკუთვნებიან; 4. შერწყმული ხელშეკრულება, როდესაც

⁴⁹ Philip Nikolai, *der Vertragstyp des UN-Kaufrechts*, in: *Vertragstypen in Europa, historische Entwicklung und europäische Perspektiven*, München, 2011, 292-293.

⁵⁰ Palandt/Grueneberg, *Bürgerliches Gesetzbuch*, München, 73. Auflage, 2014, 487, Rn. 19;

⁵¹ Palandt/Grueneberg, *Bürgerliches Gesetzbuch*, München, 73. Auflage, 2014, 487, Rn. 19; Karl Larenz, *Lehrbuch des Schuldrechts, II Band*, München, 1972, 330-332.

⁵² Palandt/Grueneberg, *Bürgerliches Gesetzbuch*, München, 73. Auflage, 2014, 487, Rn. 19.

⁵³ Karl Larenz, *Lehrbuch des Schuldrechts, II Band*, München, 1972, 332-333.

ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებაში ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებებისთვის დამახასიათებელი ელემენტები.⁵⁴ აქ ერთი ან მეორე მხარის ვალდებულება (შესრულება) მთელი თავისი მოცულობით, მაგრამ არა მისი ცალკეული ნაწილები შეიძლება მივუსადაგოთ ხელშეკრულების კანონით გათვალისწინებულ ტიპს.⁵⁵

ასეთი ტიპის ხელშეკრულების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ შერეული ჩუქება, როდესაც ერთ-ერთი მხარის ვალდებულება (შესრულება), უმეტესად ნივთის გასხვისება, მხარეთა ნებით მისი ღირებულების ნაწილის გათვალისწინებით სასყიდლიანია, ხოლო ნაწილი უსასყიდლო, ანუ ჩუქება უნდა იყოს. ასეთი ხელშეკრულების თავისებურება არის სასყიდლიანობისა და უსასყიდლობის ნაერთი. შერეული ჩუქება მაშინ გვაქვს, როდესაც მხარეებს სურთ ორგვარბუნებიანი შესრულება – ნაწილობრივ სასყიდლიანი და ნაწილობრივ უსასყიდლო. სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში შერეული ჩუქებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომაა. ნაწილი მხარს უჭერს მის ორ – სასყიდლიან და უსასყიდლო ნაწილად გამოიჯნას (ე.წ. “დაყოფის თეორია”), და მიაჩნიათ, რომ ჩუქების ნორმები მხოლოდ უსასყიდლო ნაწილზე უნდა გავრცელდეს, მეორე ნაწილზე კი შესაბამისი ტიპის (ნასყიდობა, ნარდად აღება, ქირავნობა) ნორმები. მეორე ნაწილი ხაზს უსვამს, რომ მხარეებს სურდათ ერთიანი გარიგება, ამიტომ, როგორც წესი, გამოიყენება ჩუქების მომწესრიგებელი ნორმები. ჰონიგერის “საფეხურებრივი ნორმების კომბინაციის” თეორიის თანახმად, გამოიყენება ჩუქებისა და სასყიდლიანი ხელშეკრულების ნორმები საფეხურებრივად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამ თეორიის წინააღმდეგ მეტყველებს მისი პრაქტიკული განუხორციელებლობა. უმრავლესობა მხარს უჭერს ე.წ. “შერბილებული დაყოფის თეორიას”. აქ ამოსავალია ის, მხარეთა სავარაუდო ნებით გარიგების სასყიდლიანი ნაწილი უსასყიდლოს გარეშე შეიძლება იყოს თუ არა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, უსასყიდლო ნაწილზე უნდა

⁵⁴ Palandt/Grueneberg, Bürgerliches Gesetzbuch, München, 73. Auflage, 2014, 487, Rn. 19.

⁵⁵ Karl Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II Band, München, 1972, 333-335.

გამოვიყენოთ ჩუქების სამართალი, ხოლო სასყიდლიანზე – შესაბამისი ხელშეკრულების ტიპისა.⁵⁶

კიდევ ერთი ტიპი, რომელსაც გამოყოფენ, არის პარტიარული ხელშეკრულება. ის ახლოს დგას შერწყმულ ხელშეკრულებებთან. საქმე ეხება სასყიდლიან ხელშეკრულებას, იმ თავისებურებით, რომ ერთ-ერთი მხარის ვალდებულებისთვის (შესრულებისთვის) სასყიდელი (ანუ საპასუხო შესრულება) მდგომარეობს სრულად ან ნაწილობრივ, წილში, იმ მიღწეულ შემოსავალში ან მოგებაში, რომელიც მისი დახმარებით მეორე მხარემ მიიღო. მაგალითად: იჯარის დროს, იჯარის ამღები გამცემს საფასურად აძლევს წილს საიჯარო ქონებიდან მიღებული შემოსავლისას. პარტიარული სესხებისას სარგებელი კაპიტალის დროებით გადაცემისთვის გამოიხატება არა მკაცრად განსაზღვრულ პროცენტში, არამედ მსესხებლის მიერ სესხით მიღებული მოგების წილში. შესაძლებელია ხელშეკრულებების მრავალგვარი კონსტრუქცია. ხოლო ყველა პარტიარული ხელშეკრულებისთვის საერთოა „საზოგადოებისადმი მსგავსების“ ელემენტი. კერძოდ, ვინაიდან ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ თავისი შესრულებისთვის საპასუხო შესრულება უნდა მიიღოს, რომლის სიდიდეც სრულად ან ნაწილობრივ მის მიერ შესრულებული ვალდებულების დახმარებით მეორე მხარის მიერ მიღებულ შემოსავალზე ან მოგებაზეა დამოკიდებული, მის ინტერესებშია, რომ მეორემ შეძლებისდაგვარად დიდი მოგება ან შემოსავალი მიიღოს და ამ მიზნისთვის თავადაც მოქმედებს. მეორე მხარე ვალდებულია, თავის მხრივ, შეეცადოს შეძლებისაგვარად მეტი მოგება მიიღოს. მხარეები ეკონომიკურ წარმატებაში თანაბრად არიან დაინტერესებული. თუმცა ეს წარმატება, და ამით განსხვავდება პარტიარული ხელშეკრულება საზოგადოებისგან, არა მათი ერთობლივი საქმიანობით, არამედ, როგორც წესი, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის (მსესხებლის) საქმიანობით უნდა იქნეს მიღწეული. მეორე მხარე ამისთვის მხოლოდ წინაპირობას ქმნის. ვინაიდან ერთ-ერთმა მხარემ თავისი შესრულებისთვის საპასუხო შესრულება უნდა მიიღოს, თუნდაც ცვალებადი სიდიდის, შენარჩუნებულია ორმხრივი ხელშეკრულების ძირითადი სტრუქტურა. თუმცა ხდება მისი მოდიფიცირება ვალდებულებით, ხელი შეუწყოს საერთო ინტერესების (შეძლებისდაგვარად მაღალი

⁵⁶ იქვე.

მოგება ან შემოსავალი) მიღწევას, გარდა ამისა, იმ მხარის ვალდებულებით, რომელმაც პარტიარული საზღაური უნდა გადაიხადოს, ინფორმაციის მიწოდებით ან ანგარიშვალდებულებით, ისევე, როგორც შესაბამისი ინფორმაციის მიღების უფლებით მეორე მხარისა, ანუ ელემენტებით, რაც საზოგადოებაში ურთიერთობებისთვის ტიპურია.⁵⁷

6. დასკვნა

ხელშეკრულების ტიპებად დაყოფა სამოქალაქო ურთიერთობების ჩამოყალიბებიდან იწყება და დღესაც გრძელდება. ხელშეკრულების ტიპები ჯერ წარმოიშობა სამოქალაქო ბრუნვაში, ხოლო მოგვიანებით, ხანგრძლივი და მრავალჯერადი გამოყენების შედეგად, როდესაც აშკარად იმიჯნება არსებული ხელშეკრულებებისგან, შესაძლოა აისახოს კანონმდებლობაშიც. ცალკეულ შემთხვევაში გვხვდება ხელშეკრულებები, რომლებიც არც ერთ ტიპს არ განეკუთვნება და შესაძლოა ერთჯერადი ხასიათიც ჰქონდეს. სულ უფრო იზრდება შერეული ტიპის ხელშეკრულებების მნიშვნელობა, ვინაიდან მხარეთა, მით უფრო მეწარმე სუბიექტთა, ინტერესი არ შემოიფარგლება ცალკეული შესრულებით და მას უფრო კომპლექსური ხასიათი აქვს. რიგ შემთხვევებში შერეული ტიპის ხელშეკრულება გამოიყოფა როგორც ცალკე ტიპი და წესრიგდება სპეციალური ნორმებით.

ხელშეკრულების ტიპებად დაყოფა მნიშვნელოვანია სამართლებრივი სტაბილურობის, სიმყარისა და განჭვრეტადობისთვის. კანონმდებლობაში წესების დადგენა უზრუნველყოფს, რომ მხარეებმა იმთავითვე იციან, თუ რა შედეგები უკავშირდება კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებას, რაც ასევე ამარტივებს ხელშეკრულების დადების პროცესს – მხარეებს არ სჭირდებათ ყველა დეტალზე ფიქრი და ამისთვის ფინანსური თუ ადამიანური რესურსის დახარჯვა, კანონი მათ გამზადებულ დებულებებს სთავაზობს.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ საამისო სურვილისა და მონდომების მიუხედავად, ფაქტობრივად გამორიცხულია ყველა დეტალის გაწერა და მოვლენების განვითარების ყველა სცენარის

⁵⁷ Karl Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, II Band, München, 1972, 332-336.

გათვალისწინება. ამ შემთხვევაშიც კანონი დამხმარე როლს თამაშობს მხარეთათვის.

ამასთან, თუ ურთიერთობა კანონით არ არის მოწესრიგებული, მეტი კითხვაა სამომავლო დავებთან დაკავშირებით, ხოლო მათი შედეგი უცნობია. სადავო საკითხის მომწესრიგებელი პირდაპირი ნორმის არარსებობის პირობებში დავის გადაწყვეტა დამოკიდებულია არა კონკრეტულ ნორმაზე, არამედ უფრო მეტად სასამართლოს შეხედულებაზე, რომელიც შეიძლება რამდენჯერმე შეიცავლოს საბოლოო პოზიციის შემუშავებამდე. სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, როგორც წესი, სულ მცირე რამდენიმე წელიწადი სჭირდება – უნდა წამოიჭრას დავა და არა ერთი, არამედ რამდენიმე მსგავსი ტიპის, რათა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით დადგინდეს პრაქტიკა.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ სახელშეკრულებო სამართლის (იგულისხმება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებები) დისპოზიციური ხასიათი. ანუ მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ პირობაზე შეთანხმდნენ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც არცთუ ისე ბევრია. შესაბამისად, ვალდებულებითი სამართალი, კერძოდ, მისი სახელშეკრულებო ნაწილი საკმაოდ მოქნილია და იძლევა ხელშეკრულებებში კანონისგან განსხვავებული პირობის შეთანხმების საშუალებას.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებების ტიპებად დაყოფის სისტემა სრულყოფილი არ არის. შეუძლებელია ყველა ხელშეკრულების სრულყოფილად მოცვა, სამოქალაქო ბრუნვისა და სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბების გაზრდა და ინტერნაციონალიზაცია მუდმივად წარმოშობს ისეთ საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებული ვერ იქნება. როგორც წესი, კანონი არა ამ სიახლეების წინმსწრები და განმაპირობებელი, არამედ მხოლოდ დამაფიქსირებელია. შესაბამისად, ყოველთვის არის გარკვეული პერიოდი, როდესაც ურთიერთობები საკანონმდებლო მოწესრიგების გარეშე არსებობს.

ზღვარის გავლება სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებებს შორის, მით უფრო შერეული ტიპის ხელშეკრულებებთან პრობლემურია. ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარებაც, რომელიც მუდმივად ცვლის გამყოფ ხაზს მხარეთა ინტერესებს შორის, ართულებს ტიპების გამიჯვნას. ვიწროდ სპეციალიზებული

ხელშეკრულებების ტიპების ფორმირება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება თანამედროვე გამოწვევებს.

სამართლებრივი ურთიერთობების ტიპებად დაყოფა და კოდიფიკაცია დადებით როლს ასრულებს ამ ურთიერთობების სტაბილურობისთვის, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მასთან სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ იმპერატიული ნორმები მაქსიმალურად მცირე იყოს, რათა მხარეებს მიეცეთ მათთვის სასურველ ურთიერთობათა ფორმირების შესაძლებლობა ისე, როგორც ეს მათ ინტერესებს შეესაბამება. კანონმდებლობა ხელს არ უნდა უშლიდეს ურთიერთობების მოდიფიცირებას. ხელშეკრულებების ზედმეტად დეტალური გამოიჯვნა კი რეალურად შედეგის მომტანი არ არის, ვინაიდან საბოლოოდ ის სრულყოფილი მაინც ვერ იქნება.